№15 / 2009წ /

ყოველთვიური ჩანართი

„ინტელექტმა“ ნორმატიული აქტის პროექტი შეიმუშავა

ლევან გომაძე

თეა გორაძე

ჯაბა ფუტკარაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში შეიმუშავა ნორმატიული აქტის პროექტი „მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო კვლევის ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების ინსტრუქცია“, რომელიც განსახილველად აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაეგზავნათ.

ნორმატიული აქტის შემუშავებას საფუძვლად დაედო ამ სფეროში რეგულირების არსებობის საჭიროება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ მე-20 მუხლის I პუნქტში ნათქვამია, რომ „საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დასადგენად და მიზნობრივი პროგრამების შერჩევის მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მთავრობასთან შეთანხმებით ყოველი ახალი საბიუჯეტო წლისთვის ინყებს კვლევებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემებისა და სოციალური დაკვეთის შესწავლისათვის“. აღნიშნული ჩანაწერი ნიშნავს, რომ ყოველი საბიუჯეტო წლის დასაწყისში მოსახლეობაში უნდა ტარდებოდეს საბიუჯეტო კვლევები ადგილებზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლის მიზნით, რადგან თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგება იმ თანხებისგან, რომლებსაც მოსახლეობა იხდის გადასახადების სახით და შესაბამისად, ეს თანხები მათ კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს. დღეისათვის რეალური სურათი სხვაგვარია. ამის თქმის საფუძველს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ განხორციელებული პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ იძლევა, რომელიც აჭარის 5 მუნიციპალიტეტში 2007 წლის ოქტომბრიდან ხორციელდება.

ადგილობრივი თვითმმართველობები ისე შეიმუშავებდნენ მიზნობრივ პროგრამებს, რომ არანაირი დადგენილი წესი არ არსებობდა, თუ რა პროცედურების გავლით უნდა შემუშავებულიყო მიზნობრივი პროგრამები, რა მოთხოვნილებებისათვის უნდა ეპასუხათ მათ და ა. შ. ეს ყველაფერი შეიძლება ითქვას წესრიგდებოდა გამგებლის თუ გამგეობის სხვა თანამდებობის პირების შეხედულებების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა საჭიროება, რომ ეს საკითხები დარეგულირებულიყო რომელიმე სამართლებრივი აქტით და განსაზღვრულიყო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ჩამოყალიბებული წესი, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისათვის. სწორედ ამან განაპირობა ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავება.

ლევან გომაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე: „ჯერ კიდევ პროექტის შემუშავების ეტაპზე დაისვა საკითხი - რამდენად იქნებოდა მიღწეული პროექტით გათვალისწინებული მიზნები და შენარჩუნებული მისი შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ, თუ ყოველივე ამას არ ექნებოდა სამართლებრივი საფუძველი. ანუ არ იარსებებდა ნორმატიული აქტი, რომელიც დაავალდებულებდა გამგეობებს ყოველწლიურად კვლევების ჩატარებას, ასეთი კვლევების ჩატარებისათვის მეთოდოლოგიების შემუშავებას და მის გამოყენებას. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ შეგვემუშავებინა ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც დაარეგულირებდა საბიუჯეტო კვლევების ჩატარების, მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და მათი შესრულების ანგარიშგების პროცესებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს რეგიონში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო კვლევები არ ტარდებოდა, რასაც თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ობიექტურ მიზეზებად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ საბიუჯეტო კვლევების ჩატარების გამოცდილება ფაქტიურად არ არსებობდა, არ არსებობდა ტრადიციები, სისტემა, მეთოდოლოგიები და ეს ყველაფერი იყო შესაქმნელი. ხოლო სუბიექტური მიზეზია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და მართვის სისტემა, რომელიც ნაკლებად იზიარებდა მოსახლეობის აზრს. არსებობდა მმართველი გუნდი, რომელიც შიდა საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე, პარტიულ ოფისებში წყვეტდა ყველაფერს, ხალხთან დიალოგი და მათთან საუბარი კი მხოლოდ არჩევნების პერიოდში ახსენდებოდა. სიტუაციამ გარკვეულწილად შეცვლა დაიწყო როდესაც პრეზიდენტმა „დემოკრატიის ახალი ტალღის“ შესახებ ამცნო საზოგადოებას. მოსახლეობის პრობლემების გასარკვევად გაეშურა ყველა - მთავრობა, დეპუტატები, მინისტრები, სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები. შედეგად მივიღეთ მეორე უკიდურესობა. ადამიანები, რომლებიც სტრატეგიულ დაგეგმარებას უნდა ახორციელებდნენ და სისტემის მშენებლობაზე მუშაობდნენ, სოფელ სოფელ დადიან და მოსახლეობას პრობლემებზე ეკითხებიან. ერთი მხრივ ეს კარგია, მაგრამ მეორე მხრივ? გინახავთ სადმე გენერალი დაზვერვაზე დადიოდეს? პირველადი ინფორმაციის შეგროვება არ არის მაღალი რანგის ჩინოვნიკების საქმე. ამ ჩინოვნიკებმა პირველადი ინფორმაციის საფუძველზე ისეთი გადაწყვეტილებები უნდა შეიმუშაონ, რომლებიც ამ პრობლემების გადაწვეტას უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია სისტემური ცვლილებები. ანუ ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემის ფუნქციონირებას ყველა დონეზე – პირველადი ინფორმაციის შეგროვებით დაწყებული, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებით დამთავრებული.

სწორედ ასეთი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის არის შემუშავებული ნორმატიული აქტის პროექტი.

ჯაბა ფუტკარაძე, იურისტი: „დღემდე დანერგილი პრაქტიკის მიხედვით გამგეობა შეიმუშავებს და ამტკიცებს მიზნობრივ პროგრამებს ისე, რომ ამას საფუძვლად არ უდევს პრობლემების საფუძვლიანი კვლევა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინება იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელი თემისთვის რომელი პრობლემის გადაჭრაა პრიორიტეტული და რომლის ნაკლებად პრიორიტეტული. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობდა იმის საჭიროებაც, რომ ასეთი აქტით გამგეობებისათვის სავალდებულო გამხდარიყო პროგრამების შემუშავება მოსახლეობის აზრისა და არსებული პრობლემების კვლევის საფუძველზე.

გარდა ამისა დამეთანხმებით, რომ მიზანშეწონილი არ არის პროგრამების დამტკიცება გამგეობის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ ბიუჯეტს ამტკიცებს საკრებულო, უპრანაინა საკრებულომვე დაამტკიცოს პროგრამებიც. ჩვენს მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტის პროექტით გათვალისწინებულია სწორედ პროგრამების საკრებულოს მიერ დამტკიცება.

ნორმატიული აქტის შემუშავებას საფუძვლად ასევე დაედო პროგრამების განხორციელების ანგარიშების მექანიზმის არსებობის საჭიროება. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, საკრებულო ახორციელებს კონტროლს პროგრამების განხორციელებაზე, მაგრამ ამავე დროს არ ასებობს დადგენილი წესი (პროცედურა) იმისა, თუ როგორ უნდა განახორციელოს საკრებულომ ასეთი კონტროლი. ნორმატიული აქტის პროექტში ესეც გათვალისწინებულია.

მართალია, ამ ნორმატიული აქტის ამოქმედების შემდეგ საგრძნობლად გართულდება და ამავე დროს გამჭვირვალე გახდება მიზნობრივი პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცედურები, რაც უფრო მეტად ანგარიშვალდებულს გახდის თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, მაგრამ ნაკლებად ვუშვებ, რომ ამ მოტივით საკრებულოები უარს იტყვიან აქტის მიღებაზე. აქტის არმიღების მიზეზი შეიძლება გადეს უფრო რიდიანი დამოკიდებულება მაკონტროლებლისადმი. როგორც წესი თვითმმართველობები ერიდებიან მსგავსი ინიციატივების გამოჩენას, რადგან არ სურთ ამით ცენტრალური ხელისუფლების უკმაყოფილება გამოინვიონ. აქედან გამომდინარე ისინი უფრო ორიენტირებული არიან ცენტრალური ხელისუფლებიდან წამოსულ ინიციატივებზე“.

თეა გორაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურისტი: „აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღება სასურველი და მიზანშეწონილია, რადგან ეს აქტი დაარეგულირებს მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების პროცესებს. ვფიქრობ, რომ ამ აქტის მიღებით სამომავლოდ გაუმჯობესდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების აღმოფხვრისათვის და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, ბიუჯეტების შემუშავების დროს კი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება. ასევე გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე, მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვები, მათთან ერთად განიხილება არსებული პრობლემები და გამოიძებნება მათი გადაჭრის გზები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყოველივე ზემოთხსენებული ამ პერიოდისათვის ხორციელდება, მაგრამ ნორმატიული აქტის მიღების შემდეგ აღნიშნული პროცედურების გავლა იქნება კანონმდებლობით სავალდებულო არამარტო თვითმმართველი ერთეულისათვის, არამედ მისი ქვემდებარე უწყებებისთვისაც, რითაც შემდგომში უფრო მიზანმიმართული და ეფექტური იქნება მუშაობა.“

თუ აღნიშნულ ნორმატიულ აქტს მიიღებს მუნიციპალიტეტების საკრებულოები, იგი სავალდებულო იქნება შესასრულებლად შესაბამისი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის გამგეობისა თუ საკრებულოსათვის.

ნორმატიული აქტის პროექტი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო კვლევის ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების ინსტრუქცია“

წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის, “ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის და “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 1. რეგულირების საგანი და მიზანი

1. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და ანგარიშგების წესს.

2. ინსტრუქციის მიზანია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმარების, მიზნობრივი პროგრამების შემუშავების დროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობის, მათი ინტერესების გათვალისწინების, მიზნობრივი პროგრამების ეფექტურად და მაღალ დონეზე განხორციელების, მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ხარჯვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს და დებულებებს ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მიზნობრივი პროგრამა (შემდგომში “პროგრამა”) — ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით დასაფინანსებელი ღონისძიებების წინასწარ შემუშავებული გეგმა.

ბ) რწმუნებული — ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის 42-ე მუხლით განსაზღვრული გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი.

გ)საჭიროებები — ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული პრობლემები, მათი აღმოფხვრისათვის, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც შედის მოცემული თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციაში.

დ) საჭიროებების კვლევა – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი.

ე) პრიორიტეტული საჭიროებები — საჭიროებები, რომლებიც მოსახლეობის ობიექტური ინტერესიდან გამომდინარე პირველ რიგში მოითხოვს გადაჭრას და რომელთა გადაჭრა შეზღუდული საბიუჯეტო რესურსის პირობებში შესაძლებელია მოცემული წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამების გათვალისწინებით.

მუხლი 3. პროგრამის შემუშავებისა და ანგარიშგების პრინციპები

1. პროგრამების შემუშავების, განხორციელების და ანგარიშგების ძირითადი პრინციპებია:

ა) პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის საჯაროობა;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე;

გ) ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა პროგრამების შემუშავებაში;

დ) პროგრამების შემუშავება ადგილობრივი მოსახლეობის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

ე) არსებული საჭიროებების კვლევა და პრიორიტეტული საჭიროებების განსაზღვრა.

2. ყოველი პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცენტრალური ხელისუფლების, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმული პროგრამები იმისათვის, რომ გამოირიცხოს პროგრამებს შორის ურთიერთგადაფვარვა და განხორციელდეს შემუშავებული მიზნობრივი პროგრამის ჰარმონიზაცია სხვა პროექტებთან, უფრო მეტი ეფექტის მისაღწევად.

მუხლი 4. არსებული საჭიროებების კვლევა

1. ყოველწლიურად გამგებელი, ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და რწმუნებულებს განუსაზღვრავს ვადას არსებული საჭიროებების შესახებ წერილობითი ანგარიშების წარმოსადგენად. აქტით განსაზღვრულ ვადაში რწმუნებულები გამგებელს წარუდგენენ ანგარიშს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საჭიროებების შესახებ, ხოლო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით თვითმმართველი ერთეულის მთელს ტერიტორიაზე არსებული საჭიროებების შესახებ.

2. მუნიციპალიტეტის თემებში მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევა ხორცილდება წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

3. საჭიროებების შესახებ წერილობითი ანგარიში უნდა შეიცავდეს:

ა) საჭიროებების კვლევის შედეგებს და გამოყენებული კვლევის მეთოდების შესახებ ინფორმაციას;

ბ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/რწმუნებულის წინადადებებს საჭიროებების გადაჭრის შესაძლო გზებთან დაკავშირებით.

3. რწმუნებულების მიერ მომზადებული ანგარიში დამატებით უნდა შეიცავდეს:

ა) საჭიროებების კვლევის მიზნით ჩატარებული სახალხო განხილვების, მოსახლეობის გამოკითხვის შესახებ ინფორმაციას;

ბ) ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციას პრიორიტეტული საჭიროებების შესახებ, მოსაზრებას საჭიროებების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

4. საჭიროებების კვლევისას სტრუქურული ერთეულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან მხედველობაში მიიღონ გამგეობაში შესული მოქალაქეთა განცხადებები და საკრებულოს წევრთა შუამდგომლობები შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთა მიერ პრობლემების ადგილზე შესწავლა.

5. საჭიროებების კვლევის მიზნით რწმუნებულები ვალდებული არიან თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვები, გამართონ სახალხო განხილვები და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად განიხილონ არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

6. საჭიროების შემთხვევაში რწმუნებულები ასევე უზრუნველყოფენ გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა დასწრებას სახალხო განხილვაზე, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა მიერ არსებული პრობლემების ადგილზე გაცნობას.

7. მოსახლეობისათვის გაცნობის მიზნით რწმუნებულები უზრუნველყოფენ არსებული საჭიროებების შესახებ გამგებლისათვის წარდგენილი ანგარიშის განთავსებას შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 5. გამგებლის ანგარიში საჭიროებების შესახებ, პრიორიტეტების განსაზღვრა

1. განსაზღვრულ ვადაში, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების და რწმუნებულების მიერ წარდგენილი ანგარიშებზე დაყრდნობით, გამგებელი ადგენს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებების შესახებ საერთო ანგარიშს, რომელშიც ასახული უნდა იყოს თვითმმართველი ერთეულის მთელს ტერიტორიაზე არსებული ყველა მნიშვნელოვანი საჭიროება.

2. მომავალი საბიუჯეტო წლის პრიორიტეტებს გამგებელი განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულებისა და რწმუნებულების ანგარიშებში ასახული მოსახლეობის გამოკითხვების, ჩატარებული სახალხო განხილვების შედეგების გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე.

3. აქტით, რომლითაც მტკიცდება მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებების შესახებ საერთო ანგარიში, გამგებელი ამტკიცებს პრიორიტეტებს მომავალი საბიუჯეტო წლისათვის.

მუხლი 6. პროგრამების შემუშავება

1. არსებული საჭიროებების შესახებ საერთო ანგარიშის დამტკიცების და პრიორიტეტული საჭიროების განსაზღვრის შემდეგ, გამგებელი თავისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით დავალებას აძლევს სტრუქტურულ ერთეულებს, რომ მათ უზრუნველყონ ცალკეული პრიორიტეტული საჭიროებების გადასაჭრელად შესაბამისი პროგრამების პროექტების შემუშავება. ამავე აქტით გამგებელი სტრუქტურულ ერთეულებს განუსაზღვრავს პროგრამების პროექტების წარმოდგენის ვადას.

2. სტრუქტურული ერთეულების მიერ პროგრამების პროექტების შემუშავების პროცესს საერთო ხელმძღვანელობას უწევს გამგებელი, რომელიც ახორციელებს პროგრამების დადგენილი წესით შემუშავებისათვის ყველა აუცილებელ ღონისძიებას.

3. სტრუქტურულ ერთეულები პროგრამის პროექტებს შეიმუშავებენ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ტერიტორიულ ორგანოებთან, საკრებულოს კომისიებთან კონსულტაციის საფუძველზე და არსებული საჭიროებების შესახებ ანგარიშების, საჭიროებების კვლევისას ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის, სახალხო განხილვების შედეგების გათვალისწინებით.

4. სტრუქტურული ერთეულები ვალდებული არიან ასევე პროგრამის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით რწუმენებულების მეშვეობით კონსულტაციები ანარმოონ უშუალოდ მოსახლეობასთან.

5. მიზნობრივი პროგრამების შედგენა ხდება შესაბამის ფორმაში (დანართი №1), ფორმაში მოცემული პარამეტრების მიხედვით.

6. თუ პროგრამით გათვალისწინებულია დახმარების/მომსახურების გაწევა პირთა გარკვეული წრისათვის, პროგრამას დამატებით უნდა დაერთოს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება პირთა ასეთი წრე.

7. ამ მუხლის შესაბამისად შემუშავებული პროგრამების პროექტებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები დადგენილ ვადაში წარუდგენენ გამგებელს.

მუხლი 7. პროგრამების დამტკიცება

1. სრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, რწმუნებულების ანგარიშებს და ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის შესაბამისად შედგენილ მიზნობრივი პროგრამების პროექტებს შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად გამგებელი დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს, ბიუჯეტის პროექტის წარდგენისათვის დადგენილ ვადაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდო შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge